ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – კ. გ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.06.2012
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 071/12
პირი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ზ. ჯ. /სიითი N/
საჩივრის მოთხოვნა: ზ. ჯ. – ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 14 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კ. გ. – მა და მოითხოვა ადვოკატ ზ. ჯ. – ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის დასაწყისში მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების დაკანონებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ურთიერთობა დაიწყო ადვოკატებთან ზ. ჯ. – სა და მის კოლეგასთან, ხ. ს. – თან.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატები შეჰპირდნენ, რომ საქმეს მის სასარგებლოდ გადაწყვეტდნენ, ვინაიდან მათ უამრავი ახლობელი ჰყავდათ, კერძოდ ზ. ჯ. – ის ძმა გახლდათ მოსამართლე, ხოლო ბიძაშვილი მოსამართლის თანაშემწე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მათ მოტყუებით გამოსძალეს ჯერ 500 ლარი და შემდეგ 2146 ლარი, ხოლო საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის ნაცვლად, აღნიშნულმა პირებმა დაუმალეს ძირითადი სხდომის დღე და საქმე მის საწინააღმდეგოდ გადაწყდა. ადვოკატები საჩივრის ავტორის სატელეფონო ზარებს არ პასუხობენ.

1.4 საჩივრის ავტორმა 2012 წლის 13 ივლისს ეთიკის კომისიაში საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებითი ახსნა–განმარტება წარმოადგინა, რომლის მიხედვით ზ. ჯ. – მ მას განუცხადა, თუკი 5000 ლარს არ გადაიხდიდა, საქმის მასალებს უკან არ დაუბრუნებდა. ასევე შეჰპირდა, რომ საქმის ხელახლა სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სარჩელი მოსამართლე ჯ.– სთან მოხვდებოდა. ყოველი აღნიშნულის შემდეგ, 2300 ლარის

გადახდაზე შეუთანხმდა. საქმე მოსამართლე ჯ. – ეს დაეწერა და სხდომის დღეს, ზ. ჯ. – მ განუცხადა, რომ პროცესი გადაიდო.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ზ. ჯ. მის ინტერესებს იცავდა მოსამზადებელ სხდომაზე, მან ჩაიბარა მერიის წარმომადგენლის შესაგებელი, რომელიც მიუხედავად მისი მოთხოვნისა, არ გააცნო, ხოლო მისთვის შემდგომში ცნობილი გახდა, რომ საქმის გადადების ნაცვლად, სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში სარჩელი არ შეიტანა, რადგან არ ჰქონდა სხვა ადვოკატის აყვანის საშუალება, ადვოკატებმა მას თანხა იძულებით გადაახდევინეს და ამასთანავე არც სხვა ადვოკატებს ენდობა, რომ საქმეს გულისხმიერად და და მის სასარგებლოდ წარმართავენ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2012 წლის 25 ივლისს ადვოკატმა ზ. ჯ. – მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა–განმარტება, რომლის მიხედვით საჩივრის ავტორი გაიცნო ადვოკატ ხ. ს. – ის მეშვეობით და მისი კოლეგისგან გაიგო, რომ კ. გ. – ს ჰქონდა შედგენილი ყალბი ხელწერილი, თითქოს ვინმე პ. – სგან შეიძინა მიწის ნაკვეთი და სახლი, რასაც საჩივრის ავტორი იყენებდა სასამართლოს საქმის წარმოებისას. ყალბ ხელწერილს ხელს აწერდნენ ის მოქალაქეები, რომლებიც კ. გ. – ს მოწმეებად ჰყავდა დასახელებული განცხადებაში.

2.2 ადვოკატის განცხადებით, იგი საჩივრის ავტორს საქმის მოგებას არ დაჰპირებია, პირიქით გააფრთხილა საბუთების უკან გამოტანის შესახებ. ამის შემდეგ საჩივრის ავტორმა საბუთები უკან გამოიტანა და მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატთან, ხოლო რაც შეეხება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებას, მისი განმარტებით, კ. გ. – ს ფული საქმის დამთავრების შემდეგ უნდა გადაეხადა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორისათვის ცნობილი იყო ძირითადი სხდომის დღე, ვინაიდან მოსამზადებელ სხდომაზე მან ხელი მოაწერა ხელწერილს, სადაც აღნიშნული იყო მთავარი სხდომის თარიღი.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი მისგან ითხოვდა საქმის ჩაწყობას და მისი ახლობლების გავლენის გამოყენებას, ვინაიდან საქმე ეწერა ნ. ჯ. – ს, რაზეც ადვოკატმა კატეგორიული უარი უთხრა, საპასუხოდ კი საჩივრის ავტორმა შეურაცხყოფა მიაყენა მას. ადვოკატმა კ. გ. – ს პროცესის წინა დღეს განუცხადა, რომ აღარ მოემსახურებოდა შეურაცხყოფის გამო, რის გამოც მოსამართლის თანაშემწეს წერილობით მიმართა სხდომის გადადების თაობაზე, ხოლო საჩივრის ავტორს აცნობა, რომ პროცესებზე მონაწილეობას აღარ მიიღებდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, ზ. ჯ. 2013 წლის 26 დეკემბრამდე ირიცხებოდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრად ერთიან სიაში საერთო სპეციალიზაციით, სიითი №. სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №129) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნა მიღებული ადვოკატ ზ. ჯ. – ის პირადი განცხადება წევრობის შეწყვეტის თაობაზე და ადვოკატს 26 დეკემბრიდან შეუწყდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა.

4. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ზ. ჯ. – ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 ზ. ჯ. 2013 წლის 26 დეკემბრამდე ირიცხებოდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრად ერთიან სიაში საერთო სპეციალიზაციით, სიითი №. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად (სხდომის ოქმი №), პირადი განცხადებით შეუწყდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს, რომლის წინააღმდეგაც შემოტანილია საჩივარი, შეუწყდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა."

5.3 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ხოლო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე."

5.4 ზ. ჯ. არ არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი, შესაბამისად, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი განიხილოს მის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნორმათა სავარაუდო დარღვევის საკითხი, ვინაიდან ის არ არის ადვოკატი და მასზე არ ვრცელდება ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული სტანდარტები.

5.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით და ადვოკატის მიმართ შეწყდა დისციპლინური წარმოება, თუმცა კ. გ. - ს მოცემულ შემთხვევაში დისციპლინური წარმოების შეწყვეტა ხელს არ უშლის განმეორებით მიმართოს ეთიკის კომისიას საჩივრით, მას შემდეგ რაც ზ. ჯ. აღიდგენს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობას, ვინაიდან ადვოკატის წევრობის შეწყვეტის გამო საპროცესო კოლეგიას არსებითად არ განუხილია საქმე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე–2 პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით, მე-19-მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №071/12 ზ. ჯ. – ის მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/